# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 71

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის №22 განკრგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის №22 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:

„გ) საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ანგარიშსწორება განხორციელდეს უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, შესაბამის კომერციულ საბანკო დაწესებულებაში, ნასყიდობის საფასურის გადახდის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად."

2. ეს განკარგულება გავრცელდეს 2022 წლის 14 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე